

8

სექტემბერი  
September

18:30

Lahav Shani / conductor  
Yefim Bronfman / piano  
Georgian Philharmonic Orchestra

Sergei Rachmaninoff (1873-1943)

Concerto for Piano and Orchestra No. 3 in D Minor, Op. 30  
Allegro ma non tanto  
Intermezzo. Adagio  
Finale. Alla breve

Maurice Ravel (1875-1937)  
Daphnis et Chloé Suite No. 2  
Lever du jour (Sunrise)  
Pantomime  
Danse générale (General Dance)

ლაჰავ შანი / დირიჟორი  
იეფიმ ბრონფმანი / ფორტეპიანო  
საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი

სერგეი რახმანინოვი (1873-1943)  
კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის No. 3 რე  
მინორი, თხზ. 30  
Allegro ma non tanto  
Intermezzo. Adagio  
Finale. Alla breve

მორის რაველი (1875-1937)  
„დაფნისი და ქლოე“, სიუიტა No. 2  
Lever du jour (აიხი)  
Pantomime (პანტომიმა)  
Danse générale (საერთო ცეკვა)

## **სერგეი რახმანინოვი**

კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის No. 3 რე მინორი, თხზ. 30

სერგეი რახმანინოვმა მესამე საფორტეპიანო კონცერტი თავისი პირველი ამერიკული ტურნესთვის შექმნა. პრემიერაზე, რომელიც 1909 წლის 28 ნოემბერს ნიუ-იორკში შედგა, კონცერტი თავად კომპოზიტორმა შეასრულა, ნიუ-ორკის სიმფონიურ ორკესტრსა და დირიჟორ ვოლტერ დემროშთან ერთად. დღეს ყველა დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფორტეპიანო კონცერტად აღიარებულმა ნაწარმოებმა უცბად არ მოიპოვა პოპულარობა. შესაძლოა, ეს მისმა განსაკუთრებულმა ტექნიკურმა სირთულემაც განაპირობა. ცნობილია, რომ კონცერტის მიძღვნის ადრესატს, დიდ პოლონელ პიანისტს იოზეფ ჰოფმანს, არასდროს შეუსრულებია იგი. არადა თავად რახმანინოვმა, რომელმაც შეზღუდული დროის გამო რუსეთში ვერ მოასწრო კონცერტზე მუშაობა, ატლანტის ოკეანის გადაცურვისას თან წაღებულ "ჩუმ" კლავიატურაზე შეისწავლა იგი. კუთვნილი პოპულარობა და ადგილი საფორტეპიანო ლიტერატურაში კონცერტს მოუტანა ვლადიმერ ჰოროვიცმა, რომელმაც პირველმა ჩაიწერა იგი 1930 წელს და შემდეგ ხშირად ასრულებდა მას წამყვან საკონცერტო სცენებზე. მოგვიანებით ჰოროვიცი იხსენებდა, რომ რახმანინოვმა მისი შესრულების მოსმენის შემდეგ "აჩუქა" მას თავისი მესამე კონცერტი.

## **მორის რაველი**

„დაფნისი და ქლოე“, სიუიტა No. 2

იმავე წელს, როდესაც რახმანინოვმა თავისი საფორტეპიანო კონცერტის პრემიერა შეასრულა, რაველმა დაიწყო მუშაობა ბალეტზე "დაფნისი და ქლოე", რომელიც მას სერგეი დიაგილევმა თავისი „ბელე-რუსისთვის“ დაუკვეთა. საორკესტრო პარტიტურა კომპოზიტორმა 1912 წლის 5 აპრილს დაასრულა. მიხეილ ფოკინის ქორეოგრაფიით დადგმული ბალეტის პრემიერა შედგა 1912 წლის 8 ივნისს პარიზში, შატლეს თეატრში. ფოკინისეული სცენარი დაფუძნებულია მეორე საუკუნის ბერძენი ავტორის, ლონგოსის რომანზე, რომელიც მოგვითხრობს მწყემს დაფნისსა და მის სატრფობზე, მეკობრეთა მიერ გატაცებულ ქლოეზე. მოგვიანებით რაველმა ბალეტის მასალის საფუძველზე შექმნა ორი სიუიტა. მეორე სიუიტა ეყრდნობა ბალეტის მესამე მოქმედებას. მასში აღწერილია დაფნისის სიზმარი (ტყეებისა და ქალების, მწყემსებისა და სოფლის მუსიკის ღვთაების პანის მონაწილეობით), ქლოეს გადარჩენა და წყვილის ბედნიერი გაერთიანება, რომელიც სრულდება ბაკქანალიაში გადაზრდილი ცეკვით. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერა არცთუ წარმატებული იყო, ბალეტი რაველის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება. საინტერესოა, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ფრანგმა კომპოზიტორმა დიაგილევს რუსულ ბალეტთან ითანამშრომლა.

## **ამ დროს საქართველოში...**

პირველი ქართული ბალეტი „დაფნისისა და ქლოეს“ პრემიერიდან სულ რაღაც შვიდი წლის შემდეგ შეიქმნა. 1919 წელს თამარ ვახვახიშვილმა დაწერა "ბახუსის დღესასწაული", რომლის პრემიერა იმავე წელს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში შედგა. სამწუხაროდ, თამარს იგივე პრობლემები შეექმნა, რაც მის ქალ კოლეგებს მთელ მსოფლიოში ... უარესიც. მისი ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი, მათ შორის ბალეტები, დაიკარგა. უფრო მეტიც, მხოლოდ ახლახანს იქნა იგი აღარებული როგორც პირველი ქართული ბალეტის ავტორი.

## **Sergei Rachmaninoff**

Concerto for Piano and Orchestra No. 3 in D Minor, Op. 30

Rachmaninoff composed the Third Piano Concerto for his first American tour. At the premiere in New York on November 28, 1909, he performed the Concerto with the New York Symphony Orchestra under the baton of Walter Damrosch. Despite being recognised as one of the most important piano concertos of all time, the work did not achieve popularity immediately. The main reason could be its particular technical challenges. Even Josef Hofmann, the great virtuoso to whom Rachmaninoff dedicated the Concerto, declined to perform the work. However, Rachmaninoff himself, despite having limited time for practice in Russia, managed to learn his part on a "silent" keyboard while travelling across the Atlantic Ocean. Vladimir Horowitz, who made the first recording of the work in 1930 and often performed the Concerto at leading concert stages worldwide, brought true and well-deserved fame to this masterpiece. Horowitz later recalled that after Rachmaninoff heard him play the work, he "gave" the Third Concerto to him.

## **Maurice Ravel**

Daphnis et Chloé Suite No. 2

In the same year, when Rachmaninoff premiered his Third Piano Concerto, Maurice Ravel began composing "Daphnis and Chloe" for Sergei Diaghilev and the Ballets Russes. The orchestral score was finished on April 5, 1912. Choreographed by Michel Fokine the ballet was premiered at the Théâtre du Châtelet in Paris on 8 June, 1912. Fokine's ballet scenario was based on a tale by the second-century Greek author Longus about a goatherd Daphnis and his lover, shepherdess Chloé, who is abducted by pirates. Later Ravel extracted music from the ballet and arranged two orchestral suites from the score. Suite No. 2 is based on the ballet's third act, dedicated to Daphnis' dream involving Pan (the god of the wild, shepherds, and rustic music), Chloé's rescue, and their happy reunion ending with a dance escalating into a bacchanal. Although the premiere was not very successful, the ballet is considered as one of Ravel's best works. Interestingly, it was the first and last time the French composer worked with Sergen Diaghilev and Ballets Russes.

## **Meanwhile in Georgia**

The first Georgian ballet was composed just seven years after the premiere of "Daphnis et Chloé". In 1919, a woman composer Tamar Vakhvakhishvili wrote "Feast of Bacchus" that was premiered in the same year at the Tbilisi State Opera Theater. Unfortunately, Tamar faced the same problems her female colleagues had to deal with worldwide... even worse. The major part of her works, including ballets, was lost. Furthermore, only recently did the Georgian musicologists acknowledge her as the composer of the first Georgian ballet.